# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N30

ქ.თელავი. 22 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ თელავის მე-7-ე საჯარო სკოლა** (შემდგომში - შემსყიდველი) მისი დირექტორის **მაია სილაგაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ფერთანათება“** (შემდგომში - მიმწოდებელი) მისი დირექტორის **გიორგი ხოსიტაშვილის** სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ ქ. თელავის №7 საჯარო სკოლის საკლასო ოთახების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა. (CPV:45400000 - ამსტრონგის ფილებით შეკიდული ჭერის მოწყობა) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

სატენდერო განცხადების ნომერი: **NAT170008711**.

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი-89%, თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტი-11%.

## მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 13695,08 (ცამეტი ათას ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და რვა თეთრი) და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებელს

## მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოს მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## მუხლი 4. სამუშაოს მიღების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. თელავი, ალაზნის გამზ #22

4.2. სამუშაოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2017 წლია 10 სექტემბრამდე, ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით.

## მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევა.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქ.თელავის №7 საჯარო სკოლის დირექტორი მაია სილაგაძე.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს2019 წლის 10 სექტემბრამდე.

წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულების ვადაა(ექსპერტიზის დადებითი დასკვნის ჩათვით)2017 წლის 10 სექტემბრამდე.

**მუხლი 12. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

**მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი:<br><br>სსიპ თელავის მეშვიდე საჯარო სკოლა<br>ს/კ 231171460<br>მის: ქ. თელავი, ალაზნის გამზ.N22<br>ტელ: 551335994<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა **GE81LB**0121157593795000<br>დირექტორი<br>მაია სილაგაძე<br><br>(ხელმოწერა) | მიმწოდებელი:<br><br>შპს „ფერთანათება"<br>ს/კ: 416325300<br>მის: ქ.რუსთავი, რუსთაველის ქ.N32/41<br>საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თი-ბი_სი ბანკი"<br>ბანკის კოდი: LBRTGE22<br>ა/ა GE32TB7238536080100009<br>ტელ: 551662350<br>დირექტორი<br>გიორგი ხოსიტაშვილი<br><br>(ხელმოწერა) |